

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის განმარტებითი ბარათი

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერია 2020 წლის ბიუჯეტის პროექტისა და საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტების შედგენისას ხელმძღვანელობდა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“– საქართველოს ორგანული კანონით, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 77-ე მუხლის შესაბამისად.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2020 წლის 5 ოქტომბრის №04-03/123541 წერილის მიხედვით ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2021 წელს მიიმართება გასანაწილებელი დამატებული ღირებულების გადასახადის 0.55%, რაც ნომინალურ გამოხატულებაში შეადგენს 5596.5 ათას ლარს. იმავე წერილით ქონების გადასახადიდან მისაღები შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრა 750.0 ათასი ლარით. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის 2021 წლის გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები შეადგენს 6346.5. ათას ლარს. მათ შორის: ქონების გადასახადი 750.0 ათას ლარს. აქედან საქართველოს საწარმოთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) 672.5 ათასი ლარს, ფიზიკური პირის ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადი 2.5 ათასი ლარს, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი ფიზიკური პირებიდან 60,0 ათას ლარს, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 15.0 ათას ლარს. სხვა გადასახადები 5596.5 ათას ლარს.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისათვის მიზნობრივი ტრანსფერი განსაზღვრულია 175.0 ათასი ლარით.

მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში სხვა შემოსავლები დაგეგმილია 894.4 ათასი ლარი. მათ შორის: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის 150.0 ათასი ლარი. პროცენტებიდან შემოსავალი 15.0 ათასი ლარი სანებართვო მოსაკრებელი 100,0 ათასი ლარი, ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 25,0 ათასი ლარი. ხოლო სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) 30.0 ათასი ლარი. შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 564.4 ათასი ლარი არაფინანსური აქტივების კლება გათვალისწინებულია 450,0 ათასი ლარი, აქედან ძირითადი აქტივების კლება 200,0 ათასი ლარი, ხოლო არაწარმოებული აქტივებისა (მიწა) 250.0 ათასი ლარი.

სულ მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრება 7865.9 ათასი ლარით.

მუნიციპალიტეტის გადასახდელები განისაზღვროს 7865.9 ათასი ლარით. ხარჯები (დასაქმებულთა რაოდენობა 141) დაგეგმილია 7330.9 ათასი ლარი. მათ შორის: შრომის ანაზღაურება 2278.0 ათასი ლარი. საქონელი და მომსახურება 845.7 ათასი ლარი, (მათ შორის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 185.0 ათასი ლარი), სუბსიდია განისაზღვრა 3321.0 ათასი ლარით. სოციალური უზრუნველყოფა 692.2 ათასი ლარი. სხვა ხარჯები 194.0 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის არაფინანსური აქტივების ზრდა დაგეგმილია 535.0 ათასი ლარით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადასახდელები განისაზღვროს 872.8 ათასი ლარით.

საკრებულოს ხარჯები (დასაქმებულთა რაოდენობა 31) დაგეგმილია 867.8 ათასი ლარი. მათ შორის: შრომის ანაზღაურება 572.6 ათასი ლარი. საქონელი და

მომსახურება 242.2 ათასი ლარი, (მ/შ: შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 85.0 ათასი ლარი, მივლინებები 3.0 ათასი ლარი, ოფისის ხარჯები 38.2 ათასი ლარი, წარმომადგენლობითი ხარჯები 6.0 ათასი ლარით ტრანსპორტისა და ტექნიკის, ექსპლოატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯები 110.0 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა 5.0 ათასი ლარი. სხვა ხარჯები 48.0 ათასი ლარი.

საკრებულოს არაფინანსური აქტივების ზრდა დაგეგმილია 5.0 ათასი ლარით, მანქანა დანადგარები და ინვენტარის შექენის მუხლით.

მუნიციპალიტეტის მერიის გადასახდელები განისაზღვროს 2074.6 ათასი ლარით.

მერიის ხარჯები (დასაქმებულთა რაოდენობა 103) დაგეგმილია 2054.6 ათასი ლარი. მათ შორის: შრომის ანაზღაურება 1601.6 ათასი ლარი. საქონელი და მომსახურება 438.0 ათასი ლარი, (მ/შ: შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 100.0 ათასი ლარი, მივლინებები 10.0 ათასი ლარი, ოფისის ხარჯები 104.0 ათასი ლარი, წარმომადგენლობითი ხარჯები 12.0 ათასი ლარით ტრანსპორტისა და ტექნიკის, ექსპლოატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯები 127.0 ათასი ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 85.0 ათასი ლარი.)

სოციალური უზრუნველყოფაზე 10.0 ათასი ლარი. სხვა ხარჯებზე 5.0 ათასი ლარი. მერიის არაფინანსური აქტივების ზრდა დაგეგმილია 20.0 ათასი ლარით, მანქანა დანადგარები და ინვენტარის შექენის მუხლით.

მუნიციპალიტეტის თავდაცვის უნარიანობის ამადლების ხელშეწყობა (სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური) გადასახდელები განისაზღვროს 117.8 ათასი ლარით.

ხარჯები (დასაქმებულთა რაოდენობა 7) დაგეგმილია 117.8 ათასი ლარი. მათ შორის: შრომის ანაზღაურება 103.8 ათასი ლარი. საქონელი და მომსახურება 14,0 ათასი ლარი, (მ/შ: მივლინებები 2.0 ათასი ლარი, ოფისის ხარჯები 6.0 ათასი ლარი, ტრანსპორტისა და ტექნიკის, ექსპლოატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯები 6.0 ათასი ლარი.)

სარეზერვო ფონდი განისაზღვროს 80.0 ათასი ლარით, რომელიც აისახოს მუხლში საქონელი და მომსახურების სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება.

წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი დაგეგმილია 1,0 ლარით.

საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა გადასახდელები დაგეგმილია 140.0 ათასი ლარით, აქედან 140.0 ლარი სუბსიდიების მუხლით.

მუნიციპალური ღონისძიებებისათვის სატრანსპორტო გადაყვანა დაგეგმილია 20,0 ათასი ლარით გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია დაგეგმილია 80,0 ათასი ლარით, საქონელი და მომსახურების მუხლით.

გარე განათების მოვლა-შენახვა დაგეგმილია 40,0 ათასი ლარით სუბსიდიების მუხლით.

სასმელი წყლის სისტემების მოწყობა რეაბილიტაცია მოვლა-შენახვა და ექსპლუატაცია განისაზღვროს 91,5 ათასი ლარით. აქედან საქონელი და მომსახურება განისაზღვროს 1,5 ათასი ლარით, 90,0 ათასი ლარით სუბსიდიების მუხლით.

საკანალიზაციო სისტემების მოვლა-შენახვა და ექსპლუატაცია განისაზღვროს 8,0 ათასი ლარით სუბსიდიების მუხლით.

სასაფლაოების მოვლა-შენახვა განისაზღვროს 40,0 ათასი ლარით, სუბსიდიების მუხლით.

საპროექტო-სახარჯთააღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის, სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები განისაზღვროს 330,0 ათასი ლარით არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით.

რგფ-სა და მგფ-ს პროექტების თანადაფინანსება განისაზღვროს 120,0 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით.

სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა განისაზღვროს 35,0 ათასი ლარით, სუბსიდიების მუხლით.

დასუფთავებისა და ნარჩენების გატანა განისაზღვროს 460,0 ათასი ლარით, აქედან 400,0 ათასი ლარი სუბსიდიების მუხლით. 60,0 ათასი ლარი არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით.

სკოლამდელი განათლება განისაზღვროს 1500,0. ათასი ლარით სუბსიდიების მუხლით, საჯარო სკოლების დაფინანსება განისაზღვროს 30,0 ათასი ლარით სუბსიდიების მუხლით, განათლების ხელშეწყობა განისაზღვროს 60,0 ათასი ლარით, სუბსიდიების მუხლით.

ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა განისაზღვროს 120,0 ათასი ლარით, სუბსიდიების მუხლით.

სპორტული დაწესებულების ხელშეწყობა განისაზღვროს 160,0 ათასი ლარით, სუბსიდიების მუხლით.

სპორტული ღონისძიებების დაფინანსება განისაზღვროს 30,0 ათასი ლარით საქონელი და მომსახურების მუხლით. 10,0 ათასი ლარით არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით.

კულტურის სახლების, სასოფლო კლუბების და ბიბლიოთეკების ხელშეწყობა განისაზღვროს 325,0 ათასი ლარით, სუბსიდიების მუხლით.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელშეწყობა განისაზღვროს 85,0 ათასი ლარით, სუბსიდიების მუხლით.

სახელოვნებო სკოლების დაფინანსება განისაზღვროს 85,0 ათასი ლარით, სუბსიდიების მუხლით.

კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა განისაზღვროს 30,0 ათასი ლარით, საქონელი და მომსახურების მუხლით.

ახალგაზრდული პროგრამების ხელშეწყობა განისაზღვროს 20,0 ათასი ლარით, სუბსიდიების მუხლით.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება განისაზღვროს 100,0 ათასი ლარით, სუბსიდიების მუხლით.

ვეტერანთა სარიტუალო მომსახურება (ომის ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები) განისაზღვროს 3,0 ათასი ლარით, სოციალური უზრუნველყოფის მუხლით.

ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა განისაზღვროს 671,2 ათასი ლარით, აქედან 638,2 სოციალური უზრუნველყოფის მუხლით, 33,0 სუბსიდიის მუხლით მ.შ: მრავალშვილიანი ოჯახების მხარდაჭერის პროგრამა 120,0 ათასი ლარი, ახალშობილ ბავშვთა დახმარების პროგრამა 40,0 ათასი ლარი, თირკმლის დიალეზზე მყოფთა პროგრამა 22,0. ათასი ლარი, უსინათლოთა პროგრამა 10,0 ათასი ლარი, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა და ავღანეთის ომებში

მონაწილეთა დახმარების პროგრამა 50,0 ათასი ლარი, ას წელს გადაცილებულთა დახმარების პროგრამა 3,0 ათასი ლარი, უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა 30,0 ათასი ლარი, გაუსაძლის საბინაო პირობებში მყოფი ოჯახების დახმარება 65,0 ათასი ლარი, შეჭირვებულ ოჯახებისათვის სხვა ერთჯერადი სოციალური დახმარება 95,0 ათასი ლარი, სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება 218,0 ათასი ლარი, აქედან, 53,0 ათასი ლარი სუბსიდიების მუხლით. 165,0 ათასი ლარი სოციალური უზრუნველყოფის მუხლით. ჩერნობილის ავარიის ლიკვიდაციაში მონაწილეთა დახმარება 3,2 ათასი ლარი, შშმ ბავშვთა და მოზარდთა დახმარების პროგრამა განისაზღვროს 45,0 ათასი ლარით. აქედან 35,0 ათასი ლარი სოციალური უზრუნველყოფის მუხლით და 10,0 ათასი ლარი სუბსიდიის მუხლით.

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა (უფასო სასადილო) განისაზღვროს 35,0 ათასი ლარით, სოციალური უზრუნველყოფის მუხლით.

უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯები განისაზღვროს 1.0 ათასი ლარით, სოციალური უზრუნველყოფის მუხლით.

სტიქიური უბედურებების შედეგად მიყენებული ზიანის ხარჯი განისაზღვროს 60,0 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფის მუხლით.

პატივისცემით,

დ. გოგუა
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერი